MES 8 23 0001370881

13/10/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.09.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:35სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 272-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- სხდომის თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
3. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
4. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
5. **მარინე მაისურაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
7. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

8. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
10. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
11. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
12. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
13. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებ ისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	რუსუდან ხუხუნაიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი; პროფესორი	I; II
2	თეა ქოიავა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ხარისხის	I, II

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; ასოცირებული პროფესორი	
3	ლევან ჯაყელი		ბსუ იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I, II
4	ირაკლი გორგილაძე		ბსუ იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
5	ქეთევან ბერიძე		ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
6	რუსუდან კეჭაყმაძე		ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
7	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
8	ომარი კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
9	პაატა გერაძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
10	ნონა ზუმბაძე	შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ	ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV,V,VI
11	მაისურაძე თეონა		ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	IV,V,VI
12	რუსუდანი ბერიაშვილი		ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV,V,VI
13	დავით მახვილაძე			VII, VIII

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
14	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	VII, VIII
15	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	VII, VIII
16	თინათინ კაიშაური		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII, VIII
17	ლევან იმნაიშვილი		კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	VII, VIII
18	მზია კიკნაძე		„კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII
19	ირაკლი ბრაჭული		რექტორი	VII, VIII
20	თამაზ ვაჩაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	VII, VIII
21	ინგა ნაფეტვარიძე		სტრატეგიული ურთიერთობებისა და კომუნიკაციის მენეჯერი	VII, VIII
22	კობა გელაშვილი		კიბერუსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII
23	ლელა მირცხულავა		ბიზნეს ინფორმატიკის პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII
24	ბაია ჯაფარიძე		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	VII, VIII
25	მარი სილაგაძე		ხარისხის უზრუნველყოფისა და	VII, VIII

		ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	
26	ნუცა გრიგალაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	VII, VIII
27	ირინე დარჩია		მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით	VII, VIII
28	ანასტასია ზაქარიაძე		მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით	VII, VIII
29	სტეფანე კლეცკი		ინფორმატიკის კოლეჯის დეკანის მოადგილე	VII, VIII
30	მარიუს ტრუტა		კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	VII, VIII
31	სუზან ბრუდვიგი		კომპიუტინგისა და ანალიტიკის სკოლის ხელმძღვანელი	VII, VIII
32	ტეუტა ჩატა		ბიზნეს ინფორმატიკის პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII
33	ვეი ჰაო		კიბერუსაფრთხობის პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII
34	ფრანსუა ლეროი		საერთაშორისო ოფისის ხელმძღვანელი	VII, VIII
35	ანტონი ჩეჩე		ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	II

2	ნათია სორდია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V,VI
6	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII, IX
7	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
8	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
9	ია ბუცხრიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი განცხადების განხილვა;
2.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კიბერუსაფრთხოების” ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოსთან იშუამდგომლა მეათე და მეთერთმეტე საკითხებად განეხილათ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №847592 სხდომის ოქმი, ასევე აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 №920044 სხდომის ოქმსა და 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხი, რაზედაც საბჭომ თანხმობა განაცხადა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი განცხადების განხილვა;
2.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კიბერუსაფრთხოების” ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
10. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №847592 სხდომის ოქმში ტექნიკური შესწორების საკითხის განხილვა;
11.„ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ,,კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 №920044 სხდომის ოქმსა და 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი განცხადების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - თამარ სირაძე
აცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ცენტრის წარმომადგენელმა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცენტრში შემოსული განცხადება ეხებოდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას. განცხადების ავტორები იყვნენ სტუდენტების მშობლები, მათი ძირითადი ნაწილი იყო უცხოელი სტუდენტების წარმომადგენლები. განცხადებაში ძირითადად გამოკვეთილი იყო ორი საკითხი, ერთი ეხებოდა შუალედური გამოცდების მინიმალურ ზღვრის აწევას, რაც მშობლებმა არარელევანტურად ჩათვალეს და დაუკავშირეს ანგარების მოტივს, რაც გულისხმობდა იმას, რომ სტუდენტების მაღალი ზღვრული ქულის გამო ვერ აბარებდნენ საგნებს, უწევდათ აღნიშნული სასწავლო კურსების თავიდან გავლა და ამაში დამატებითი თანხის გადახდა, რაშიც მშობლები ხედავდნენ უნივერსიტეტის ფინანსურ ინტერესს. ხოლო მეორე საკითხი ეხებოდა კონკრეტულ აკადემიურ პირს, რომელიც სტუდენტებს არც თუ ისე კორექტულად ეპყრობოდა და ამ უხეში დამოკიდებულების გამო, სტუდენტები განიცდიდნენ სტრესს და ძალიან უჭირდათ საგნის ჩაბარება.
შესაბამისად, როგორც მომჩივანთან, ისე უნივერსიტეტთან ცენტრის წარმომადგენლებს ჰქონდათ საკმაოდ ხანგრძლივი კომუნიკაცია ელ-ფოსტის მეშვეობით, რის შედეგადაც დეტალურად იქნა გამოკვლეული მასალები, თუმცა მხოლოდ აღნიშნული კომუნიკაციით არ შემოფარგლულა მოცემული პროცესი. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები დანართების სახით.
აქედან გამომდინარე მიღებული იქნა ორი ძირითადი შედეგი, კერძოდ ერთი ის, რომ კონკრეტულ საგნებში გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კონკრეტულ საგნებში კი შემცირდა, ხოლო ზოგიერთ მათგანში დარჩა უცვლელი. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა ერთიან ზრდას და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ცვლილება განხორციელდა შიდა მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე კი განხორციელებული ცვლილებები გასაგები იყო ცენტრისთვის. ამასთან, ზღვრული ქულა სრულად შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებსა და მინისტრის მესამე ბრძანებას.
რაც შეეხება საკითხს კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირებით, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებში ძირითადად საკმაოდ პოზიტიურად იქნა შეფასებული აღნიშნული პიროვნება და ამის საწინააღმდეგოდ რაიმე სახის მტკიცებულება ცენტრს არ მიუღია.
შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმართა ცენტრის დირექტორს, რომ შუამდგომლობა გაეწია საბჭოსთან, რათა

განხილულიყო აღნიშნული საკითხი და შეწყვეტილიყო ადმინისტრაციული წარმოება, რადგან საკითხის შესწავლის პროცესში არ აღმოჩენილა სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან შეუსაბამო გარემოებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულები წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა საკმაოდ ამომწურავად ისაუბრა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულებას განცხადებასთან დაკავშირები აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა ცენტრთან, რის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნა მტკიცებულებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ დააზუსტა დღევანდელი მონაცემებით განმცხადებელი სტუდენტები სარგებლობენ თუ არა აქტიური სტატუსით.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წერილი იყო ანონიმური, შესაბამისად, სტუდენტების ვინაობა არ იყო ცნობილი უნივერსიტეტისათვის.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა დაახლოებით რამდენ საგანშია შუალედური ზღვარი - 45 ქულა და ჩვეულებრივ სხვა საგნებში რა ქულა არის განსაზღვრული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არც ერთ საგანში, რომელიც სასწავლო კურიკულუმით არის გათვალისწინებული, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ არის 31 ქულაზე ნაკლები, რამდენიმე საგანში კი იყო 45 ქულა, სადაც მონიტორინგის საფუძველზე კომპეტენციის ზღვარი შემცირდა 35 ქულამდე. ფაქტიურად კურიკულუმი ამ მიმართულებით გადაიხედა და სრულს მოვიდა შესაბამისობაში მინისტრის მესამე ბრძანებასთან. რიგ სილაბუსებში კი მოხდა შუალედური კომპეტენციის ზღვრის აწევა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ძირითადად 45 ქულიანი ზღვარი გაწერილი იყო კლინიკურ საგნებში, ხოლო დღეის მონაცემებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულაზე მეტი არც ერთ საგანში არ არის. იმ საგნებში სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იყო 31 და 21 ქულა, ცვლილების შედეგად გაიზარდა და გახდა 35 ქულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:27
დასრულების დრო: 14:29

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დატოვა მარინა ქავთარაძემ.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1443383, 31/12/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- თამარ სირაძემ
აცილების საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ბურდული მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ ექპსერტთა ჯგუფმა სრულყოფილად შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამითვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხი.
2021 წლის 31 დეკემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა რეკომენდაცია, რომ პროგრამაში სასწავლო კურსები წარმოგდენილი ყოფილიყო ან არჩევითი კომპონენტის სახით, ან კონცენტრაციების. დაწესებულების მიერ ერთ წელში წარმოდგენილი ანგარიშის შედეგადად კი დადგინდა, რომ დაწესებულებამ არჩევანი გააკეთა კონცენტრაციებზე და პროგრამაში გამოიყო ორი კონცენტრაცია: (1) განვითარება და რეაბილიტაცია და (2) ფსიქოკონსულტირება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განხლებული პროგრამის სწავლის შედეგებში არ იყო ასახული არც ერთი კონცენტრაციის სწავლის შედეგი, აღნიშნული კი სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს, კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 „ა“ პუნქტის შესაბამისად.
აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით, „ფსიქოლოგიის“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა 60 კალენდარული დღე ოქმში დაფიქსირებული რეკომენდცაიების შესრულებლად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რკეომენდაცია ეხებოდა კონცენტრაციების, კერძოდ კი „ (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს“; გადა ამისა, რკეომენდაციები ასევე მოიცავდა თავად ცალკეული სასწავლო კურსების რეფორმულირებას და აკადემიურ პერსონალის ზრდას.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებამ დადგენილ ვადაშ წარმოადგინა პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც ექსპერტთა მიერ იყო შესწავლილი და მათ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშ მოვიდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურით გათვალისწინებული სწავლის შედეგებთან და ორიენტირდეს სფეროს ზოგად ცოდნასა და ელემენტარულ პრაქტიკულ უნარებზე.
2. რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსების (მათ შორის, კლიენტზე ცენტრირებული თერაპია, ფსიქოანალიტიკური თერაპია, მეუღლეთა და საოჯახო ფსიქოთერაპია) სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ორიენტირდეს სფეროს ზოგად ცოდნასა და ელემენტარულ პრაქტიკულ უნარებზე და ასევე, უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა.
3. რეკომენდებულია, გაგრძელდეს მუშაობა აკადემიური პეროსნალის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის განმარტებით, მათი მთავარი მიზანია კურსდამთავრებულებს არ ჰქონდეთ მოლოდინი, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი იქნებიან პრაქტიკოსი ფსიქოლოგები. აქედან გამომდინარე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ როგორც პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული, რომ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული პრაქტიკული აქტივობების განხორციელებას შეძლებს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართადა წესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველი დაწესებულების წარმომადგენელებმა ვერც ერთ მარეგულირებელ აქტში ვერ მოიძიეს. დასკვნაში გამოყენებული ტერმინი - ,,ელემენტარული უნარები“ მით უფრო არ შეესაბამება შესაბამისი საფეხურის დონეს. რეალურად, საკვალიფიკაციო ჩარჩოში ტერმინი ,,ელემენტარული“ საერთოდ არ გვხვდება.

რაც შეეხება რეკომენდაციას, აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დაწესებულების სამართლებრივი ფორმაა სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად ნებისმიერ სახის საშტატო ცვლილება ხორციელდება მკაცრი რეგულირების პირობებში, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან და ხორციელდება შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. მოცემული საკითხი დაკავშირებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას რეკომენდაციები არ მიუღია, ასევე არც პერსონალის დამატებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა ამ რეკომენდაციას, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ აკადემიური პერსონალის არსებული მდგომარეობა ხელს არ უშლის პროგრამის სრულყოფილად განხორციელებასა და მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში გარკვევით არის გაწერილი, რომ კონცენტრაციების სწავლის შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგებში, შესაბამისად, როდესაც დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამა, კონცენტრაციის სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყო პროგრამის სწავლის შედეგებში. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა

აღნიშნეს, რომ კონცენტრაციის შედეგები დაწესებულებას ცალკე უნდა გამოეტანა, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა და პროგრამის საერთო შედეგებში დატოვა იმავე სახით რაც მანამდე იყო. ასევე, ტექნიკურად მოცემული შედეგები ცალკეც გამოიტანა. ექსპერტთა დასკვნაში კი წერია, რომ განახლებული პროგრამის სწავლის შედეგებში არ იყო ასახული არც ერთი კონცენტრაციის სწავლის შედეგი. ამასთანავე, წარმოდგენილ პროგრამის დასკვნაში იყო შემდეგი ჩანაწერი, რომ კონცენტრაციის შედეგები ტექნიკურად არის შეუსრულებელი, თუმცა როდესაც დასკვნის პროექტი იყო წარმოდგენილი, მოცემული ჩანაწერი სხვაგვარად იყო ფორმულირებული.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელში გაწერილი იყო რომ პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-6 საფეხურს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის დროს მოცემული რეკომენდაცია საერთოდ არ იყო გაცემული. რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების გადახედვასა და რეფორმულირებას მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად. რეკომენდაცია შეუსაბამობასთან დაკავშირებით, არც ანგარიშის დროს არ ყოფილა გაცემული. დაწესებულებას პროგრამაში შინაარსობრივი ცვლილებები არ განუხორციელებია, შესაბამისად სწავლის შედეგებიც იგივე იყო შინაარსობრივად, რაც თავდაპირველად. მათ სწავლის შედეგებთან მიმართებით მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილება განახორციელეს, კერძოდ ცალკე გაწერეს კონცენტრაციები სწავლის შედეგები. საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა ცხრა რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ ყველა რეკომენდაცია და რჩევა სრულად შეასრულა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრულ ცამეტ სილაბუსში, კერძოდ მეთოდების ნაწილში შევიდა ცვლილებები და დაემატა ისეთი მეთოდები, რომლებიც უფრო გაზომვადს გახდიდა სწავლის შედეგებს. რეკომენდაციაში კონკრეტულად არ იყო დასახელებული სილაბუსები, შესაბამისად დაწესებულებამ ცვლილებები განახორციელა მათ მიერ განსაზღვრულ ცამეტ სილაბუსში. თუმცა საუბარი ეხებოდა საკითხს, რომ შესაძლოა კურსდამთავრებულს გაუჩნდეს მეტი მოლოდინი მათ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც შეუძლებელია, იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა საფეხურები უნდა გაიაროს სტუდენტმა მომავალში, რომ წარმატებული კარიერა შეიქმნას. გარდა ამისა, არც ერთ სილაბუსში არ არის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შეუძლიათ იმუშაონ როგორც პრაქტიკოსმა ფსიქოლოგებმა ან ფსიქოთერაპევტებმა.

აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, უნივერისტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას დაემატა ერთი პროფესორი, ამასთან გამოცხადებულია ვაკანსია ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე, რომელიც ჯერ-ჯერობით ვაკანტურია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭომ გასცა რეკომენდაცია, რომ ან კონცენტრაცია ყოფილიყო პროგრამაში, ან არჩევითი საგნები, რის შედეგადაც ინსტიტუციამ განსაზღვრა ორი კონცენტრაცია. ამასთან კონცენტრაციის სწავლის შედეგები პროგრამაში ასახულია. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რა დააკლდათ ექსპერტებს პროგრამის შეფასებისას, ვინაიდან, რეალურად, ის რეკომენდაცია რომლის გამოც უნივერისტეტს დამატებით განესაზღვრა 60 დღე, პროგრამაში გაწერილია. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, არის თუ არა შემუშავებული ფსიქოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი და შესაბამისად, პროგრამა, მასში გაწერილი სწავლის შედეგებით და კონცენტრაციით გადის თუ არა მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. ამასთან, არის თუ არა ეს სწავლის შედეგები გაზომვადი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კონცენტრაციის სწავლის შედეგები უნდა ყოფილიყო ცალკე გამოყოფილი, ხოლო მოცემული პროგრამის შემთხვევაში აღნიშნული წარმოდგენილი იყო ერთიან ჭრილში, ცალ-ცალკე კი შემდგომ იქნა წარმოდგენილი. თავდაპირველად, პირველი აკრედიტაციის შემდეგ ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომ პროგრამაში განსაზღვრულიყო ან არჩევითი კომპონენტი ან კონცენტრაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კონცენტრაციები იყო დაჯგუფებული საგნები, მაგრამ სწავლის შედეგებში ცალკეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი არ იყო მოცემული, რის შემდგომაც განისაზღვრა 60 დღიანი ვადა რეკომენდაციის შესასრულებლად. ამ ეტაპზეც წარმოდგენილია სწავლის შედეგები, რაც ექსპერტთა მოსაზრებით, არ შეესაბამება შესაბამის საფეხურს.
ექსპერტმა განმარტა, რომ ფსიქოლოგიის მიმართულებას არ აქვს დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, თუმცა კლასიფიკატორის მოთხოვნების შესაბამისად, ფსიქოლოგიის კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს ფსიქიკის თავისებურებების შესახებ, ქცევის ამხსნელი მექანიზმების შესახებ, უნდა იცოდეს სხვადასხვა თეორიები, რომლებიც ხსნის ქცევას და ფსიქიკურ პროცესებს, ეს არის ზოგადი ცოდნა, რომელიც ბაკალავრის დონეზე უნდა მიიღოს სტუდენტმა. სწორედ ამიტომ, კონცენტრაციის შედეგში რომ წერია - კურსდამთავრებული შეძლებს პრობლემის მქონე ადამიანთან კომუნიკაციას, რეკონსტრუქციის, თავისუფალი ასოციაციის ტექნიკების და კონკრეტული თერაპიების ტექნიკების გამოყენებას, კლიენტთან გადამეტებული ემოციების გარეშე მუშაობას, ბავშვის და მოზარდის ფსიქო-თერაპიული ინტერვენციის საჭიროებების შეფასებას, აღნიშნული არის უფრო მაღალი სტანდარტი ვიდრე ქცევისა და ფსიქიკური პროცესების ცოდნა. გამომდინარე აქედან, სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ ბაკალავრის საფეხურზე შეძლებს უფრო მაღალი საფეხურის ცოდნის დაუფლებას. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მოცემული საჭიროებს საკმაოდ დიდ პრაქტიკულ ცოდნას.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მუშაობისას დაწესებულება ხელმძღვანელობდა ჩარჩო დოკუმენტით, სადაც გარკვევით წერია, რომ სწავლის და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელია პრობლემების გადაჭრისთვის. თუ ბაკალავრი უნდა გავიდეს აღნიშნულ უნარზე, მაშინ რაღაც დონეზე აუცილებელია პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენებით სწავლება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბაკალავრის საფეხურის კურსდამთავრებული გეშტალტ თერაპევტი გამოვა, აქ საუბარია უმარტივეს ტექნიკაზე, რომელიც დაეხმარება სტუდენტს რომ მოუსმინოს მის წინ მჯდომ ადამიანს და შეძლოს იმის გარკვევა, თუ ვის შეიძლება მიმართოს ამ ადამიანმა.
სხდომაზე დამსწრე აბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:10
დასრულების დრო: 15:19

საბჭოს წევრებმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გადაიტანეს რჩევებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

15:15 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა გურანდა ჭელიძემ
15:20საათზე - საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო ჭალაგანიძე

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები Engineering Technologies and Systems
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 160, 09.07.2019 წ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის დოქტორი სამრეწველო ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე	-

	სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მამუკა ბენაშვილი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რის შედეგადაც ექპერტების მიერ შემოწმდა პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის საკითხი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა თვითშეფასება და სხვა დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეამოწმეს პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი. ერთადერთი საკითხი რაც ექსპერტებს დააკლდათ იყო სამეცნიერო პროექტებში ნაკლები ჩართულობა წინა წლებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა, რადგან აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება დოქტორანტების კვლევით თემებსა და ბიუჯეტს. მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შთაბეჭდილებები პროგრამაზე, ასევე დასკვნა სრულიად დადებითია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვისა და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციები არ ყოფილა განსაზღვრული, ხოლო რჩევებს დაწესებულება სრულად იზიარებს.
რჩევებთან დაკავშირებით უნივერისტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი რჩევა გულისხობდა პროგრამაში მითითებული აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის N1 დადგენილების ბმულის გასწორებას. მისი განმარტებით, ორი წლის წინ დაწესებულებამ განაახლა თავისი ვებ-გვერდი, შესაბამისად ძველი დადგენილებები დარჩა ძველ ვერსიაში, თუმცა ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა განაახლა დებულება უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ, რომელიც 2021 წლის 21 მაისს დამტკიცდა.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მესამე რჩევა რომელიც ეხებოდა კვლევითი კომპონენტის სილაბუსში საათების რაოდენობის ცვლილებას, აღნიშნა, რომ 2020 წლის

შემდგომ ნამდვილად არც ერთ პროგრამაში არ ყოფილა მსგავსი ჩანაწერი, გამომდინარე აქედან გასწორდა აღნიშნული ხარვეზი.
მეორე რჩევასთან მიმართებით კი განმარტა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს სწავლის შედეგების სქემაში შეფასების არაპირდაპირი მეთოდების დამატების მიმართულებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე კვლევით პროექტებთან დაკავშირებთ და განმარტა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა კვლევითი პროექტების მდგომარეობა, კერძოდ რუსთაველის ფონდის მიერ მიმდინარე მონაცემებით ხორციელდება ოთხი საგრანტო პროექტი და აღნიშნული საგრანტო პროექტები ზუსტად ეხება იმ კვლევის მიმართულებებს რაც სადოქტორო პროგრამაში არის ჩადებული. გარდა ამისა, ოთხმა დოქტორანტმა წარადგინა საგრანტო პროექტი დაფინანსების მოსაპოვებლად, რასთან დაკავშირებითაც პასუხებს ჯერ კიდევ ელოდება დაწესებულება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ კვლევითი პროექტის სილაბუსში მოცემული ჩანაწერის მიხედვით, დარღვეულია ძირითადი კვლევითი კომპონენტის სტატუსი, შესაბამისად სილაბუსი საჭიროებს გადახედვას, ასევე სწავლა-სწავლების მეთოდებიც საჭიროებს გამდიდრებას, ვინაიდან მასში არ ჩანს ლაბორატორია ან ექსპერიმენტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ კვლევითი კომპონენტი არ საჭიროებს სილაბუსს, თუმცა როდესაც ექსპერტები გაეცნენ სილაბუსს, მასში იყო ტექნიკური შეცდომები, თუნდაც კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით. შესაბამისად ექსპერტიც იზიარებს მოსაზრებას, რომ სილაბუსი საჭიროებს გადახედვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, თუ რატომ გაჩნდა სილაბუსი კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით. კერძოდ, აკრედიტაციის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაზღვრული იყო რჩევა და შესაბამისად, დაწესებულებამ რჩევის გათვალისწინების მიზნით, დაამატა მოცემული სასწავლო კურსის სილაბუსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:34
დასრულების დრო: 15:37

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

,,საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1125634 20/09/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქ.N12
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		ბიზნესის ადმინისტრირება

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1125657 20/09/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქ.N12
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

6. მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1125645 20/09/2022
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქ.N12
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი შვიდი რეკომენდაციიდან დაწესებულების მიერ სრულად შესრულდა ხუთი, ხოლო მეტწილად შესრულდა ორი რეკომენდაცია. მისი განმარტებით პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პირველ სტანდარტის 1.2 კომპონენტს, რომელიც გულისხმობდა, რომ გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების და

სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობის რუკა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე დასტურდება, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში ასახული არის თემატიკა, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე გასვლას, მაგრამ აქ პრობლემა გაჩნდა ერთ ნაწილთან დაკავშირებით, რომლეიც მწვანე ეკონომიკის საკითხებს უკავშრდება. თვითონ სასწავლო კურსში არ არის მკაფიოდ ფორმულირებული შედეგი, რომელიც ბმაში უნდა იყოს პროგრამასთან. მე-7 სწავლის შედეგზე „აფასებს საკუთარ ცოდნას და უნარებს, რათა განსაზღვროს მომავალი სასწავლო საჭიროებები“ - ამჯერად 16 სასწავლო კურსი გადის, თუმცა წარმოდგენილი სილაბუსებიდან, მაგალითად, ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ და ,,მენეჯმენტის პრინციპების“ სასწავლო კურსების შედეგები როგორ არის დაკავშირებულ მე-7 შედეგთან, ბუნდოვანია; ამასთან, აღნიშნულ შედეგზე გადის ,,ლიდერობის“ სასწავლო კურსი, რაც არ არის შედეგების რუკაზე წარმოდგენილი. რაც შეეხება მე-8 სასწავლო შედეგს განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც შედეგის მიღწევაში ამჯერად სხვა სასწავლო კურსებთან ერთად წარმოდგენილია სასწავლო კურსი ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით კვლავ გასაგრძელებელია მუშაობა.
შემდეგ რეკომენდაციასთან მიმართებით, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ეხებოდა სწავლის შედეგებს რომელიც ,,მწვანე ეკონომიკის“ სასწავლო კურსთან იყო ბმაში. მწვანე ეკონომიკის“ საკითხები აისახა მთელ რიგ სასწავლო კურსებში ანუ დასტურდება, რომ გაძლიერდა აღნიშნული მიმართულება, ამიტომ რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.
მნიშვნელოვანია ასევე 1.5 კომპონენეტი, სადაც საუბარი იყო, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებში შემოთავაზებული უნდა ყოფილიყო ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და ,,ციფრული ბიზნესი“. ანგარიშიდან დადგინდა, რომ არჩევითი ბლოკის სახით არის დამატებული ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“, მაგრამ შინაარსობრივი თალსაზრისით ეს ის არ არის რაც ბიზნეს ადმინისტირების პროგრამას და კუსრდამთავრებულს სჭირდება. გამომდინარე აქედან ამ მიმართულებით მუშაობა კი არის წარმართული, თუმცა არა მიზნობრივად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართადა წესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ,,მწვანე ეკონომიკის“ საკითხების დამატება მოხდა შესაბამისის სფეროს ლექტორების ჩართულობითა და მათი სურვილის გათვალისწინებით სასწავლო კურსის შესაბამისობის ფარგლებში. რაც შეეხება სასწავლო კურსების შედეგების ნაწილს, დაწესებულება იზიარებს ამ საკითხს დ აუცილებლად განიხილავს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. ამასთან, დაწესებულება ემზადება კლასტერული აკრედიტაციისთვის, შესაბამისად საკითხი ამ პერიოდისთვის უკვე იქნება გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა რომ მეორე რეკომენდაცია და სასწავლო კურსი ,,ინფორმაციული ტექნოლოგები ბიზნესში“ და განმარტა, რომ აღნიშნული გაგებული იქნა სხვა კუთხით, ვინაიდან მასში განსაზღვრულია საკითხები, როგორიცაა პითონი და ა.შ
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრის მოსაზრებას და ამ კუთხით კიდევ გრძელდება მუშაობა, თუმცა სავალდებულო საგნებში რატომ არ მოხდა ახალი საკითხების დამატება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ პროგრამა არ არის ახალი და მასზე სწავლობდნენ სტუდენტები, ხოლო მოდიფიკაციის შედეგად მოხდა კრედიტების ცვლილება, რაც საკმაოდ სტრესული იყო სტუდენტებისთვის, რადგან მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს

მოუწიათ დამატებით ახალი სასწავლო კურსების გავლა, შესაბამისად ცვლილებებს კიდევ უფრო დიდი გავლენა რომ არ ჰქონოდა სტუდენტებზე, სავალდებულო სასწავლო კურსებში კიდევ ერთი ცვლილების განხორციელება არ მომხდარა მიმდინარე ეტაპზე.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი ხუთი რეკომენდაციიდან დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული სამი რეკომენდაცია, ერთი მეტწილად, ხოლო ერთი კი დაწესებულების მიერ არ იქნა შესრულებული.
პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტის მიმართ ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ,,ფინანსური მენეჯმენტის“, ,,აკადემიური წერის“ და ,,რისკების მართვის“ პროგრამაში დამატებას. განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამაში სავალდებულო კომპონენტების სახით წარმოდგენილია ,,ფინანსების მართვა და ორგანიზაცია“, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი „სამეცნიერო წერის“ სილაბუსი. მიუხედავად ამისა, ექსპერტს აქვს ვარაუდი, რომ უნივერისტეტს აქვს მოცემულ სასწავლო კურსი და შესაბამისად, სილაბუსი არ იქნა გამოთხოვლი. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უკავშირდებოდა ,,ფინანსური მენეჯმენტის“ სასწავლო კურსს არის ის, რომ სასწავლო კურსში განსაზღვრულია ისეთი საკითხები, რომლებიც სტუდენტმა სამაგისტრო საფეხურზე უკვე უნდა იცოდეს, ანუ თემატიკა არის საბაზისო, რაც შინაარსობრივადაც არ შეესაბამება ,,ფინანსური მენეჯმენტის“ სასწავლო კურსს. რაც შეეხება ,,ბიზნეს რისკების შეფასებასა და მართვას“, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსი დამატებულია, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, დაწესებულებამ ამ კუთხით უნდა განაგრძოს მუშაობა.
რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საუბარი იყო არჩევით ნაწილზე, რომელიც ეხებოდა სამართლის მიმართულებით 6 კრედიტის მოცულობის არჩევით კურსს. ანგარიშიდან გამომდინარე ირკვევა, რომ რეკომენდაცია არ არის გათვალისიწინებული და კვლავ არის წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი 20 კრედიტი. თუმცა, ინსტიტუციის პოზიცია არის ასეთი, რომ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტისთვის შემოთავაზებულია კონკრეტული მიმართულების გაღრმავების მიზნით. სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისთვის არ შეიძლება განისაზღვროს როგორც სპეციალობის გაღრმავების ნაწილი. ინსტიტუციის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ ,,სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტისთვის შემოთავაზებულია კონკრეტული მიმართულების გაღრმავების მიზნით“, თუმცა ვერ პასუხობს მოცემულ რეკომენდაციას არგუმენტირებულად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამას დაემატა რეკომენდაციით გათვალისწინებული კურსები, შესაბამისად, გადაიხედა და შეიცვალა სტრუქტურა. რაც შეეხება ,,სამეცნიერო წერას“, აღნიშნული ნამდვილად არის საუნივერსიტეტო საგანი და სილაბუსიც, რა თქმა უნდა არსებობს.
რაც შეეხება ,,ფინანსების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსს, აღნიშნული დაემატა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებს გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ ფინანსების მიმართულებით პროგრამა სიღრმისეულ ცოდნას არ იძლეოდა, აქედან გამომდინარე დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაემატებინა საბაზისო საკითხები. კურსი ამჟამად, ამ სემესტრში პირველად განხორციელდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა სტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებულია 16 კრედიტი. არჩევითი კურსების განსაზღვრა ხდება მონათესავე პროგრამებიდან, სადაც სტუდენტს აქვს თავისუფლება აირჩიოს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსი. რაც შეეხება არჩევით კურსებში სამართალის ნაწილს, კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე (სამართლის პროგრამის კურსები მოიცავს ხუთ კრედიტს), იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აირჩევს სამართლის მიმართულების არჩევით

სასწავლო კურსებს, მას აქვს შესაძლებლობა კრედიტები ისე გადაანაწილო, რომ არ შეექმნას გარკვეული სახის პრობლემა.
ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი არ არის კრედიტების რაოდენობაზე, სამართალი არ მიეკუთვნება ბიზნესის სპეციალობას და შესაბამისად ვერ იქნება განსაზღვრული, როგორც სპეციალობის გაღრმავების არჩევითი სასწავლო კურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები არ არის სრულიად სამართლებრივი, ვინაიდან მოიცავს როგორც ბიზნეს დავებს, ასევე კორპორაციის მართვას და ვაჭრობას. კურსები არის ძირითადად ბიზნეს სამართლის მიმართულებით, რაც სამართლებრივ ჭრილში ბიზნესის სფეროების გაღრმავების საშუალებას იძლევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშრებით მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რამდენად მოდის შესაბამისობაში სამართლის კურსები სპეციალობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამართლის კურსები არ არის არჩეული მხოლოდ სახელწოდებიდან გამომდინარე, პროგრამის წარმომადგენლებს გავლილი აქვთ კონსულტაციების სამართლის ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც შერჩეული იქნა ის ოთხი კურის, რომელიც შესაბამისობაში მოდის სპეციალობასთან.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ განსაზღვრული ექვსი რეკომენდაციიდან სამი სრულად იქნა შსრულებული, ერთი შესრულდა მეტწილად, რომელიც ეხებოდა ფინანსური მენეჯმენტის საკითხებს და რაც იდენტრუი შემთხვევა იყოს როგოორც ქართულენოვან პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე იდენტურად ქართულენავანი სამაგისტრო პროგრამისა, სამართალთან დაკავშრებული რეკომენდაცია ინგლისურენოვან პროგრამაშიც არ იქნა შესრულებული.
რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რაც იყო გამაძლიერებელი ხასიათის, კერძოდ გადაიხედოს და დაზუსტდეს არჩევითი სასწავლო კურსების წინაპირობები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არ იყო ინფორმაცია წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩევითი სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც დაწესებულება განიხილავდა ექსპერტთა რეკომენდაციებსა და მიგნებებს, არც დასკვნაში და არც სხვა დოკუმენტაციაში მოცემული რეკომენდაცია არ ყოფილა გაწერილი. ამასთან, რადგან ქართული და ინგლისური სამაგისტრო პროგრამები იდენტურია და მოცემული რეკომენდაცია ქართულ პროგრამაში არ იყო მითითებული, მათ შორის არც ოქმში და დასკვნაში, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული მიიჩნიეს ტექნიკურ ხარვეზად და არ წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ცალსახად იყო მოცემული სხდომის ოქმში და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია არ იყო განსაზღვრული ქართული პროგრამისთვის და ვიანიდან პროგრამები იდენტურია, მათ ჩათვალეს, რომ სახეზე იყო ტექნიკური ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭომ პროგრამის შესწავლის შედეგად შესაძლებელია განსაზღვროს ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც ექპერტებს დასკვნაში არ ჰქონდათ მითითებული. მიუხედავად ამისა, საბჭოს რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაესახელებინათ პროგრამაში არსებული არჩევითი სასწავლო კურსები სამართლის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემული სამართლის სასწავლო კურსები იყო: ,,ბიზნეს დავები და პრაქტიკა“, ,,საერთაშორისო სავაჭრო სამართალი“, ,,კორპორაციული მართვა“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:16
დასრულების დრო: 16:25

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების"

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები Computer Systems and Network Technologies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№794253 12/07/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი Master of Information Technologies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება -0612
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქ. N77, სასწავლო კორპუსი N6,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ქეთევან ქუთათელაძემ და მარინა მაისურაძემ;
თვითაცილების საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ განსაზღრული ყველა რეკომენდაცია პირნათლად შეასრულა. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ შეფასების მექანიზმები საკმაოდ კარგად არის განსაზღვრული. საბოლოო ჯამში პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა სრულად გაითვალისწინა და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:32
დასრულების დრო: 16:36

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

8. მერვე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კიბერუსაფრთხოების” ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კიბერუსაფრთხოება Cybersecurity
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№794253 12/07/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (სანგუ): მეცნიერების მაგისტრი ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოებაში / Master of Science in Information Technology Security ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი (ჩკუ): მეცნიერების მაგისტრი კიბერუსაფრთხოებაში / Master of Science in Cybersecurity
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612- მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის 53 ა, ქ. თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის განსაზღვრული იყო 19 რეკომენდაცია და 6 რჩევა, მათგან კი მხოლოდ რამდენიმე იქნა მეტწილად შესრულებული.
კერძოდ ექსპერტმა აღნიშნა, მე-2 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 1.2 კომპონენტს, სადაც საუბარი იყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებაზე, კერძოდ „პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისთვის შემუშავდეს შესრულების ინდიკატორები და განისაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ეს შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე ნაკლებად დაყოფილ კურსის საერთო შეფასებას“, აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია, რადგან მიუხედავად იმისა რომ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დოკუმენტში არის წარმოდგენილი, შესაბამისობის ნაწილში საგნის შესაბამისობა დადგენილია შედეგთან და არა საგნის შეფასების

კონკრეტულ კომპონენტთან. როდესაც არსებობს სწავლის შედეგის შეფასების რამდენიმე კომპონენტი და როდესაც სასწავლო კურსი გადის რამდენიმე შედეგზე, ყველა შეფასების მეთოდი ყველა შედეგს ვერ შეაფასებს. ამიტომ უმჯობესია რომ შეფასების მეთოდები შესაბამისად იყოს განსაზღვრული.

შემდეგ რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც გაცემული იყო 2.5 კომპონენტის ფარგლებში, კერძოდ: „რეკომენდებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლება-სწავლის ორგანიზებასა და შეფასების მეთოდებში ითვალისწინებდეს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს“, პროგრამაზე უმეტესად სწავლობენ საქართველოს მოქალაქეები და დაწესებულებასაც აქვს შესაბამისი მექანიმები, თუმცა შესაძლებელია ამ კუთხით მუშაობის უფრო მეტად გაძლიერება პროგრამაში ჩართული უცხოელ სტუდენტებთან მიმართებით.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ასევე ეხებოსა საგნების ადგილზე ჩატარებას, კერძოდ, დღეს-დღეობით ლექციების ნაწილი ტარდება ადგილზე, ხოლო ნაწილი დისტანციურად. უცხოელი აკადემიური პეროსნალი ხშირად ჩამოდის, ასევე ტრენინგები უტარდება ქართველ პეროსნალსაც. შესაბამისად, როდესაც დასრულდება ტრენინგები აღნიშნული რკეომენდაცია შესრულებული იქნება.

შემდეგი რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა ფინანსურ მდგრადობას, კერძოდ: „პროგრამის მდგრადობის შეფასების მიზნით, საჭიროა ნათლად განისაზღვროს: სწავლის გადასახადი; სტუდენტების მინიმალური რაოდენობა, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელების ხარჯების მხარდაჭერისთვის; პარტნიორ უნივერსიტეტში პერსონალის ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება; პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება“, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამი დოკუმენტი ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით 2020 წლის 7 აპრილის მდგომარეობით, შესაბამისად მთლიანად ფინანსური მდგომარებოს სიცხადის დანახვა რთულია.

5.1 კომპონენტთან მიმართებით კი განმარტა, რომ რადგან პროგრამას ახორციელებს ორი ინსტიტუცია, ერთიანი და შეჯერებული მექანიზმის არსებობა უმჯობესი იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ რეკომენდაციების უმეტესობა შეფასდა შესრულებულად, მხოლოდ ერთი შეფასდა ნაწილობრივ შესრულებულად, ხოლო ერთი კი მეტწილად. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ეს რეკომენდაციები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, რადგან ეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

რაც შეეხება რეკომენდაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების პირველადი ვერსია, ჩამოყალიბებული იყო კენტუკის უნივერსიტეტის ორი პროგრამის გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული პროგრამები იყო „კიბერუსაფრთხოება“ და „ბიზნეს ინფორმატიკა“, სწორედ აღნიშნული ორი პროგრამის შეჯერებით შეიმუშავეს შეფასების სისტემები. რადგან თავდაპირველად არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება, თითო სწავლის შედეგთან მიმართებით მითითებული ჰქონდათ რამდენიმე ინსტრუმენტი და მიიჩნევდნენ რომ ეს არ იყო პრობლემა, რადგან ამერიკულ უნივერსიტეტებში მითითებული არის ხოლმე ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტი/მექანიზმი გამოყენებული. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ მათ მიერ შემუშავებული მიდგომა ბოლომდე მისაღები არ იყო, დამატებით გაიარეს კონსულტაციები და გამოითხოვეს კენტუკის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები და შესაბამისად დააზუსტეს აღნიშნული

საკითხი. აქედან გამომდინარე, ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით თითოეულ სწავლის შედეგში, ცალკეულ შემთხვევაში არის არა ერთი, არამედ ორი სასწავლო კურსი შეფასების მექანიზმად გამოყენებული, ხოლო შეფასების ინსტრუმენტები კი დაზუსტა.
რაც შეეხება ფინანსურ მდგრადობას, დაწესებულების მიერ ნამდვილად არ ყოფილა წარმოდგენილი 2023 წლის მონაცემები, ვინაიდან რეკომენდაციიდან გამომდინარე დაწესებულებას არ მოეთხოვებოდა. რეკომენდაცია გულისხმობდა რაოდენობისა და ფინანსების პოლიტიკის დონეზე განსაზღვრას. ამასთან მაქსიმალური რაოდენობა სტუდენტებისა პროგრამაზე არის 30, რომელთა სწავლის საფასური მთლიანად ფარავს უნივერსიტეტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:32
დასრულების დრო: 18:41

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

9. მეცხრე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს ინფორმატიკა Business Informatic
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სანგუ: ინფორმატიკის მაგისტრი/Master of Science in Informatics ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: ბიზნეს ინფორმატიკის მაგისტრი/Master of Science in Business Informatics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის 53 ა, ქ. თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ცენტრის თანამშრომელმა ეკრანზე გააზიარა საერთაშორისო ექსპერტის, დიბიეშ ანანის მიერ გამოგზავნილი ვიდეო რგოლი, რომელიც ითარგმნებოდა ავტომატურ რეჟიმში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით საუბარია ერთობლივ ,,ბიზნეს ინფორმატიკის" პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება სანგუსა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტს შორის. პროგრამა ჯერ კიდევ არის დასაწყის ეტაპზე, თუმცა დაწესებულებას აქვს მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება.
რაც შეეხება სტანდარტების შეფასებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველი სტანდარტი შეფასებული იყო როგორც მეწილად შესაბამისობაში, ხოლო მე-2 და მე-3 სტანდარტების მხოლოდ ერთი კომპონენი განისაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისი. ამასთან, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, პირველ სტანდართან მიმართებით პროგრამებს მუდმივათ აქვთ გარკვეული სახის ხარვეზები, რადგან საკითხი ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს. მთავარი საკითხი მოცემული პროგრამის შემთხვევაში ეხებოდა პროგრამის კვალიფიკაციას, ვინაიდან აუცილებელია, რომ პროგრამის კვალიფიკაცია ასახული იყოს კურიკულუმსა და მის შინაარსში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინებს ინფომრატიკასა და ინფომრაციულ სისტემებს შორის არის განსხავევბა, რაც ასახულია ასევე საკვალიფიკაციო ჩარჩოში. პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსების უმრავლესობა ორიენტირებულია ინფორმაციულ სისტემებზე, თუმცა უნდა იყოს დაკავშირებული ინფორმატიკასთან. გამომდინარე აქედან ექპსერთა ჯგუფი დაწესებულებას სთავაზობს ორ შესაძლებლობას. კერძოდ, დაწესებულებას შეუძლია შეცვალოს მეორე კურსის არჩევითი საგნები, რათა ისინი იყო უფორ ინფორმატიკაზე ორიენტირებული, ან დაწესებულებას შეუძლია დატოვოს კურიკულუმი ისე, როგორც არის და შეცვალოს კვალიფიკაცია.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, რეკომენდაცია განსაზღვრული იყო 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით რომელიც გულისხმობდა, დეტალურ პროტოკოლს დისტანციურ კურსებთან მიმართებით. ვინაიდან სასწავლო კურსებს წაიკითხავენ პროფესორები ორივე უნივერსიტეტიდან, აუცილებელია, რომ არსებობდეს დეტალური პროტოკოლი.
უნდა აღინიშნოს ასევე, რომ პროგრამა არის სამაგისტრო საფეხურის, შესაბამისად, ყველა სამაგისტრო პროგრამას უნდა ჰქონდეს კვლევითი კომპონენტი, თუმცა კურიკულუმის შესწავლის დროს ექსპერტებმა ვერ ნახეს კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი, ამიტომაც აუცილებელია, დაწესებულებამ პროგრამაში განსაზღვროს კვლევით კომპონენტთან დაკავშრებით კურსები. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სხვა პროგრამის სამაგსირტო ნაშრომების გაცნობის შემდეგ დადგინდა, რომ ნაშრომებში არც ისე დიდი რაოდენობის ბიბლიოგრაფია იყო მითითებული, მაგისტრებს გამოყენებული ჰქონდათ მხოლოდ რამდენიმე ლიტერატურა. გამომდინარე აქედან აუცილებელია დაწესებულებას ზედმიწევდნით ჰქონდეს განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ინფოტმატიკის მაგისტრი" და პროგრამა არის ბიზნესთან დაკავშირებული. ქართულ კვლაიფიკაციათა ჩარჩოში ინფორმატკა და ინფომრაციული სისტემები არის ერთი დონის. აქედან გამომდინარეობდა, საკითხი რომ უნდა მოხდეს ერთი მხარის გაძლიერება და ინფორმატიკის დარქმევა, ვინაიდან ბიზნესის საგნების წილობრივი ხვედრი საკმაოდ დიდია პროგრამაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართადა წესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება რეკომენდაციებისა და რჩევების აბსოლუტურ უმრავლესობას იზიარებს და შესაბამისად გაატარებს შესაბამის ცვლილებებს. რაც შეეხება სასწავლო კურსების ცვლილებას ად კვალიფიკაციასთან შესაბამისობის საკითხს, პირველი კურსის საგნებთან დაკავშირებით არ არის არანაირი პრობლემა, საუბარი იყო მეორე კურსის საგნებზე და კონკრეტულად სამ დისციპლინაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემულ დარგს აქვს თავისი დარგობრივი მახასიათებელი, რაც სხვა საერთაშორისო მოთხოვნებთან და პრაქტიკებთან ერთან გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავებისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში ინფორმატიკა მოიაზრება როგორც computing, ICT ასევე, ყველა დანარჩენ ინფორმაციული სისტემების საკითხებს. კვალიფიკაციათა ჩარჩოში კი ცალ-ცალკე არის მოცემული ინფორმატიკა და ინფორმაციული სისტემები, თუმცა გასათვალისწინებელია ასევე დარგობრივი მახასიათებელი, სადაც კომპეტენციები კონკრეტულად ინფორმატიკისთვის არ არის განსაზღვრული. თავად ამერიკის უნივერისტეტის მაგალითზეც, მსგავს პროგრამაში სასწავლო კურსების დიდი წილი ეკუთვნის ბიზნესის საგნებს, მაგრამ რა თქმა უნდა მოცემულია ასევე ინფორმატიკის სასწავლო კურსებიც. წარმოდგენილი პროგრამის მიმართულებით, ძირითადი სავალდებულო კურსები 4-5 კურსი არის დაკავშირებული ინფორმატიკასთან, ხოლო მხოლოდ 3 სასწავლო კურსი მოიცავს ბიზნესის საკითხებს. რაც შეეხება ინფორმაციულ სისტემებს, კურიკულუმი იძლევა შესაძლებლობას, რომ ამ მიმართულებით განსაზღვრული იყოს სამი სასწავლო კურსი. ასევე რეკომენდაციის შესაბამისად, ზოგიერთი სასწავლო კურსი დაემატა ძირითადი საგნების ჩამონათვალს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოში ერთ დონეზე არიან, დარგობრივ მახასიათებელში არ არის განსაზღვრული ინფორმატიკის კონცეფციები.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ შესაძლებელია ერთი საგნის ნაცვლად სავალდებულო სასწავლო კურსებში განისაზღვროს ორი საგანი. ასევე, საგანს ,,Machine learning for business" მოეხსნას ბიზნესის ნაწილი და სრულად ინფორმატიკაზე იყოს ორიენტირებული. უნივერსიტეტი რჩება ინფორმატიკის კვალიფიკაციაზე და მზად არის პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების მოდიფიკაცია მოახდინოს, რომ ისინი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული ინფორმატიკაზე და არა ბიზნესზე.
ამასთან, უნდა განიმარტოს, რომ პროგრამა არ მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს, ის გულისხმობს სამაგისტრო პროექტს, შესაბამისად არ არის მხოლოდ მეცნიერებაზე ორიენტირებული, არამედ ორიენტირებულია მეცნიერებასა და ტექნოლოგიებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა თუ რამდენად არის დაფიქსირებული სტუდენტთა ზუსტი რაოდენობა მემორანდუმები. ამასთან სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ბიუჯეტის და ადამიანური რესურსის საკითხიც.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა სამაგისტრო ნაშრომების მართვისა და შეფასების კომისია და დააზუსტა თუ რას ახორციელებდნენ დაწესებულების მართვის საკითხებში. ამასთან დააზუსტა, დაწესებულებას აქვს თუ არა საუნივერსიტეტო რეგულაცია, რომელიც ეხება მაგისტრების ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვას.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ასევე აღნიშნა რომ იგი გაეცნო CAPSTONE პროექტის სილაბუსს, რომელიც არის პრაქტიკული პროექტი, სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი ხელმძღვანელობის ქვეშ წერს. შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ, დააზუსტა იწერება თუ არა პროექტი კონკრეტული კომპანიის საჭიროებებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით იყო აბსოლუტურად იგივე მდგომარეობა, რაც კიბერუსაფრთხოების პროგრამაში. ის, რომ მოცემული პროგრამა იქნება საკმაოდ მოთხოვნადი ეჭვს არ ბადებს. რაც შეეხება აკადემიური პერსონალს, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას პრობლემა არ აქვს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუ თარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მემორანდუმებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთ-ერთ ბანკთან ორივე პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, სადაც ზუსტი რაოდენობა ნამდვილად იქნება განსაზღვრული. თუ ამ ეტაპზე მემორანდუმებში რაოდენობა არ არის მოცემული, სამომავლოდ საკითხი აუცილებლად იქნება დამატებული.
რაც შეეხება ბიუჯეტს, აღნიშნული დოკუმენტი სტანდარტულად იყო წარმოდგენილი. დაწესებულებას ერთი სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც აქვს იმის რესურსი, რომ პროგრამა სრულყოფილად განახორციელოს. რაც შეეხება ადამიანურ რესურს, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 14 ადამიანი, აქედან 8 არის ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტიდან, ხოლო 6 დაწესებულებიდან.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კომისიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მართვის ნაწილი გულისმოხბს პროექტების დანაწილებას, ხელმძღვანელების არჩევას, იმის განსაზღვრას, თუ ვინ ვისთან იმუშავებს. ამასთან კომისია განსაზღვრავს თემის შესაბამისობას. ასევე, კომისია ამოწმებს ხელმძღვანელების დატვირთვის საკითხსაც, გარდა ამისა დადგენილია შიდა ზღვარიც.
რაც შეეხება პროექტს, მასში შეიძლება იყოს ჩართული რამდენიმე სტუდენტი და ასევე გააჩნია იმასაც თუ საიდან იქნება ხელმძღვანელი. დაწესებულებას ასევე აქვს ჩამონათვალი შესაძლო ხელმძღვანელებისა და პროექტების, ხოლო სტუდენტებს თავად შეუძლიათ ამის არჩევა. რაც შეეხება სტუდენტების შეფასების საკითხს, აღნიშნული დამოკიდებული ხელმძღვანელზე, რადგან მან უნდა წარმოადგინოს დასაბუთება თუ რის საფუძველზე წერს კონკრეტულ ქულას თითოეული სტუდენტისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:32
დასრულების დრო: 20:20

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 2.2 და 2.4 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდეგნით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების ფორმულირება სასწავლო სფეროს სპეციფიკის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
3. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამაში სამი სავალდებულო კურსი ჩანაცვლდეს ინფორმატიკის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსებით;
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების "მონაცემთა მეცნიერების" და "მანქანათმცოდნეობის" კურსების წინაპირობად განისაზღვროს "ბიზნეს ანალიტიკის" სასწავლო კურსი;
5. რეკომენდებულია, პროგრამაში ინტეგრირდეს სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები;
6. რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსები და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
7. რეკომენდებულია, მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა;
8. რეკომენდებულია, შემუშავდეს /განისაზღვროს სასწავლო კურსების დისტანციური სწავლების დეტალური რეგულაციები;
9. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში და კვლევით კომპონენტში შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციასთან/ებთან.;
10. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონიდან არც ერთი ზმნა არ იყო გამოყენებული და ამიტომ, სასურველია ამ დონიდან სულ მცირე ერთი ზმნის გამოყენება, რათა მიზნები პროგრამის საფეხურის შესაბამისი იყოს.
2. პროგრამა მოიცავს ცხრა სწავლის შედეგს (SLO1- 9), რომელიც აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვენ აღმოვაჩინეთ მცირე შეუსაბამობები თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში ნახსენებ მიზნებს შორის, რაც საჭიროებს შესწორებას.

10. მეათე საკითხი: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №847592 სხდომის ოქმში ტექნიკური შესწორების საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუამდგომლობა ეხებოდა 2023 წლის 07 ივლისის N847592 საბჭოს სხდომის ოქმს, სადაც პირველ საკითხად განიხილებოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში და ამ ანგარიშთან მიმართებით დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა ოთხი რეკომენდაცია, თუმცა სხდომის ოქმში არის ჩანაწერი 9 რეკომენდაციის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ 2023 წლის 07 ივლისის N847592 სხდომის ოქმში შესულიყო ცვლილება და დაწესებულების მიმართ განსაზღვრული რეკომენდაციები ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად:
„ 1. რეკომენდებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
2. რეკომენდებულია, მემორანდუმები / ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
3. რეკომენდებულია, დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
4. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს №3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით.“

საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხთან მითითებით დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №847592 სხდომის ოქმში ტექნიკური შესწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 13
მოწინააღმდეგი: 0

გადაწყვიტა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საბჭომ გადაწყვიტა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №847592 სხდომის ოქმის 01 ნაწილში, "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილში მოხდეს ცვლილება და რეკომენდაციები ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგი სახით:

„ 1. რეკომენდებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
2. რეკომენდებულია, მემორანდუმები / ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
3. რეკომენდებულია, დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
4. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს №3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით.“

11. მეთერთმეტე საკითხი: „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ,,კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 №920044 სხდომის ოქმსა და 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა 2022 წლის 19 №920044 სხდომის ოქმსა და 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორებას, კერძოდ, „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ,,კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. ოქმსა და გადაწყვეტილების დანართში დეტალური დასახელება მითითებულია, როგორც - „პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0612“, ნაცვლად - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612”.

საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხთან მითითებით დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ,,კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 №920044 სხდომის ოქმსა და 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შესწორების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 13
მოწინააღმდეგი: 0

გადაწყვიტა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საბჭომ გადაწყვიტა:

1. „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ,,კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების **დანართ**№1-ში მოხდეს ტექნიკური შესწორება და დეტალური სფერო ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: ***„მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612”.***
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 №920044 სხდომის ოქმის მე-10 ნაწილში, ,,კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღმწერ ცხრილში, დეტალური სფეროს ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: ***„მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612”.***

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 29 სექტემბრის, 20:35 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია